ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

ქ. ჭიათურა

N 52 65
06/12/2019

65-52-4-201912061712

ქალაქ ჭიათურაში ჩაჩანიძის ქუჩის პირველი შესახვევისათვის მერაბ კილაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის საფუძველზე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1

ქალაქ ჭიათურაში ჩაჩანიძის ქუჩის პირველ შესახვევს შეეცვალოს სახელი და მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ჭიათურის საპატიო მოქალაქის, პროფესორ მერაბ კილაძის სახელი.

მუხლი 2

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ციცქიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე